

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი #7

ქ. ონი

18 ივლისი 2018 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბაჩანა მარკოიშვილი.

ბიუროს 12 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 7 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, გელა მეტრეველი, გივი მეტრეველი, გიორგი მარკოიშვილი, სერგო ლობჯანიძე, ვლადიმერ ჩლაიძე.

არ ესწრებოდა 5 წევრი: შუქურა ჯაფარიძე, ვანო ბალაშვილი, გოჩა მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, ნოდარ ბურდილაძე.

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მერის პირველი მოადგილე მერაბ ორდინიძე, პირველადი სტრუქტურული ერთეულის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი მარიამ გობეჯიშვილი, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის სამსახურის უფროსი დავით რაზმაძე, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის ანალიზისა და დაგეგმარების განყოფილების უფროსი თინათინ ბროლაშვილი, აიპ ტურიზმის ცენტრის დირექტორი თეიმურაზ რეხვიაშვილი.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი- მ. ორდინიძე

2. ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: მ. ორდინიძე

3. ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ექვსი თვის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

(მომხსენებელი: მ. ორდინიძე)

4. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ.

(მომხსენებელი: მ. გობეჯიშვილი)

5. ონის მუნიციპალიტეტის სახელზე რიცხული დამატებითი ქონების: ქალაქ ონში, მოედნის ქუჩა #2-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების)) ს/კ 88.18.21.837 სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

(მომხსენებელი: დავით რაზმაძე)

6. „ონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის #42 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

(მომხსენებელი: ბ. მარკოიშვილი)

7. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინფორმაცია 2018 წლის 6 თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

(მომხსენებელი: ს. ლობჯანიძე)

8. აიპ ტურიზმის ცენტრის დირექტორის ინფორმაცია მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ.

((მომხსენებელი: თ. რეხვიაშვილი)

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი- მ. ორდინიძე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ონის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

გადაწყდა: ონის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში მოსმენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: მ. ორდინიძე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ;

აზრი გამოთქევს: ა. კერვალიშვილმა და განაცხადა, რომ საჭიროა სოფ. სორში გაიწმინდოს სახელმწიფო გზის მიმდებარედ არსებული არხი, რათა გახდეს გამტარუნარიანი. ამუამად გ. კერვალიშვილის სახლის მიმდებარედ გაკეთებული არხი არაეფექტურია და ვერ იმუშავებს თუ არ გაკეთდა ჩამომავალი არხი მთლიანად.

ვ. მეტრეველმა ისაუბრა მუნიციპალიტეტის სოფლებში ინფრასტრუქტურის კუთხით, განსაკუთრებით წყალსადენებისა და სასმელი წყლის რეაბილიტაციისათვის შესრულებული სამუშაოების ხარისხზე და აღნიშნა, რომ სოფლებში-გლოლაში, უწერაში, სორში, შქმერში, ბარსა და ცხმორში სასმელი წყლის რეაბილიტაციაზე დახარჯულია გარკვეული თანხები, მაგრამ მოსახლეობა მაინც სასმელი წყლის გარეშეა. ფრაქციის სხდომაზე აღნიშნული საკითხის განხილვისას, დეპუტატებმა მიიღეს გადაწყვეტილება, შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი, სადაც ჩართულნი იქნებიან საკრებულოს წევრები, მაჟორიტარები და შეისწავლიან აღნიშნული კუთხით არსებულ პრობლემებს.

საკითხი, ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ, დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: საკითხი განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: 3. ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ექვსი თვის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

(მომხსენებელი: მ. ორდინიძე

მ. ორდინიძემ სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ექვსი თვის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

გადაწყდა: ინფორმაცია მოსმენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს:4. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ.

(მომხსენებელი: მ. გობეჯიშვილი)

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ბ. მარკოიშვილმა აღნიშნა, რომ როცა ვსაუბრობთ გარე ვაჭრობის რეგულაციებზე და მოვაჭრეებისგან ტროტუარების გათავისუფლების აუცილებლობაზე, აღსანიშნავია ისიც, რომ ტროტუარები დაკავებულია ავტომობილებით და ეს პრობლემაც დროულ რეაგირებას მოითხოვს.

ა. კერვალიშვილის თქმით, საჭიროა წარმოდგენილი პროექტი დამუშავდეს უფრო მეტად, გასათვალისწინებელია ზატეხულის სეზონი, დასახვეწია ტერმინები და რეგულირების სფეროები. სასურველი იყო, ადგილები გარე ვაჭრობისთვის გამოყოფილიყო ამავე დადგენილებით. საერთო ჯამში, როგორც მან აღნიშნა, კარგი იქნება პროექტის დახვეწა.

ბ. მარკოიშვილმა განაცხადა, რომ საკითხი დასახვეწია, საჭიროებს უფრო ღრმა შესწავლას და უმჯობესია გადაიდოს .

გადაწყდა: საკითხი, ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ, გადაიდოს ღრმა შესწავლის და დამუშავების მიზნით.

მოისმინეს:5. ონის მუნიციპალიტეტის სახელზე რიცხული დამატებითი ქონების: ქალაქ ონში, მოედნის ქუჩა #2-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების)) ს/კ 88.18.21.837 სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

(მომხსენებელი: დავით რაზმაძე)

დ. რაზმაძემ სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის სახელზე რიცხული დამატებითი ქონების: ქალაქ ონში, მოედნის ქუჩა #2-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების)) ს/კ 88.18.21.837 სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი- არცერთი

გადაწყდა: საკითხი განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: 6. „ონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის #42 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

(მომხსენებელი: ბ. მარკოიშვილი)

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი „ონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის #42 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი- არცერთი

გადაწყდა: საკითხი განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს:7. . საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინფორმაცია 2018 წლის 6 თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

(მომხსენებელი: ს. ლობჯანიძე)

ს. ლობჯანიძემ სხდომას გააცნო ინფორმაცია 2018 წლის 6 თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

გადაწყდა: ინფორმაცია მოსმენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: 8. აიპ ტურიზმის ცენტრის დირექტორის ინფორმაცია მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ.

((მომხსენებელი: თ. რეხვიაშვილი))

თ. რეხვიაშვილმა სხდომას წარუდგინა ინფორმაცია მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ.

აზრი გამოთქვა: ვ. მეტრეველმა ისაუბრა ონის, როგორც მაღალი ტურისტული პოტენციალის მქონე მუნიციპალიტეტისათვის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე და ამ კუთხით საჭირო დაფინანსების მოძიებისა და ყველა მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმის თაობაზე. ა. კერვალიშვილმა განაცხადა, რომ ვიდრე მუნიციპალიტეტისათვის უფრო მეტად პრიორიტეტული არ იქნება ტურიზმის განვითარება, ვიდრე ტურიზმთან ერთად განიხილება ჰესების კასკადის და სხვა სამრეწველო ობიექტების ფუნქციონირება, მუნიციპალიტეტში ტურიზმი არსებულზე მეტად ვერ განვითარდება. ამიტომ მუნიციპალიტეტი უნდა გამოცხადდეს ტურისტულ რეკრეაციულ ზონად. თ. რეხვიაშვილმა აღნიშნა, რომ საჭიროა მუშაობა და იმ ტურისტული პოტენციალის შესწავლა, რაც მუნიციპალიტეტს გააჩნია, აუცილებელია კონკრეტული გეგმის შედგენა და თანხების მოძიება კვლევებისა და შესწავლისთვის.

ბიუროს წევრებმა მსჯელობის შემდეგ გადაწყვიტეს აიპი „ტურიზმის ცენტრმა“ სექტემბრის ბიუროს სხდომისთვის მოამზადოს და წარმოადგინოს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმა და ხარჯთაღრიცხვა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე